მატჩი, რომელმაც ფინალის საგზური მოგვიტანა!

როტერდამი. “ფეიენოორდის” სტადიონი. 22 აპრილი.

“ფეიენოორდი” (როტერდამი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

“ფეიენოორდი”: ვან ენგელენი, ნილსენი (დე ლიუივი), ბრარდი, ბუდინგი (პეტურსონი), ვაინსტეკერსი, ბოუენსი, ვერმიულენი, ვან ტილი, ნოტენი, პეტერსი, ვან დეინსენი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯები: ფ. ვერერი, ი. ლოზერტი, ხ. პროხაზკა (ყველა – ავსტრია).

გაფრთხილებულია ხინჩაგაშვილი.

მატჩს ესწრებოდა 35.000 მაყურებელი.

პირველი, რაც თბილისის “დინამოს” გულშემატკივრებს აინტერესებთ, ესაა საკითხი სწორ ტაქტიკას მიმართა თუ არა როტერდამში ჩვენმა გუნდმა, სწორად დაგეგმა თუ არა გუნდის ხელმძღვანელობამ მომავალი მატცის მსვლელობა, ზუსტად შეასრულეს თუ არა ფეხბურთლებმა თვიანთი მოვალეობანი?

რა თქმა უნდა, გეგმაც სწორი იყო და ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშეც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ევროპული საკლუბო ტურნირები 2–მატჩიანი ფორმულით მიმდინარეობს, გუნდებს თამაში უწევთ შინაც და გარეთაც, ყოველი მონაწილე ასე გეგმავს თამაშს: გამარჯვება შინ, თანაც რაც შეიძლება დიდი ანგარიშით და საკუთარი კარის უხიფათობა სტუმრად. მთელი აქცენტი გაკეთებულია 2 მატჩის საერთო ჯამზე, თანაც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ტურნირებში ქულებს კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთეს სხვაობას.

როგორ წარმართა თბილისის “დინამომ” მატჩი როტერდამში? თამაში დაიწყო დინამოელთა სწრაფი, ენერგიული, საკმოდ ხანგრძლივი შეტევით. უკვე პირველ წუთებზე ზედიზედ გავიდა შეტევაზე გუცაევი, მის წინააღმდეგ დაუფარავად, აშკარად უხეშად ითამაშეს და როცა ავსტრიელმა მსაჯმა ფ. რევერმა რეაგირების გერეშე დატოვა “ფეიენოორდის” მცველთა აშკარა უხეშობა, ასეთივე “ტაქტიკით” გაუმასპინძლდნენ შენგელიას, ყიფიანს, დარასელიას, სვანაძეს, თავაძეს.

პოლანდიელ ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი ტაქტიკა უნდა აერჩიათ – ტოტალური, ყოვლისმომცველი შეტევა. დინამოელთათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა პასიურ დაცვაზე გადასვლა და როცა შუა ტაიმიდან მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა ნათელი შეიქნა, თბილისელებმა სახიფათო კონტრშეტევებს მიმართეს, საკუთარ საჯარიმო მოედანზე კი მასირებული, გაძლიერებული დაცვა ჰყავდათ. ჰოლანდიელები თავგამოდებით, ძალების უკიდურესი დაძაბვით უტევდნენ, მაგრამ ამ იერიშების ნეიტრალიზება ხდებოდა ორგანიზებულად, მოფიქრებით, ყოველ მოგერიებულ ბურთს ნახევარმცველები აჩერებდნენ შუა მინდორზე, შემდეგ კი გრძელი გადაცემებით გაჰყავდათ თავდამსხმელები კონტრშეტევაზე.

ჩვენს გუნდს დროდადრო ძალიან უჭირდა, მაგრამ, ვფიქრობთ, “ფეიენოორდს” არ ჰქონდა ის სიმწვავე, ის სახიფათო მომენტები, რომლებსაც შეეძლო დინამოელთა მწყობრი დაცვითი რიგების დაძლევა. ყოველი თბილისელი ფეხბურთელი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას და ცხადი იყო, რომ პირველი მატჩის 3–ბურთიანი განსხვავება საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ უნდა დარჩენილიყო.

გოლი, რომელიც დინამოელთა კარში გავიდა ტაიმის ბოლო წუთებზე “ფეიენოორდმა” გაიტანა კუთხური მოწოდების შემდეგ, უდავოდ, აქ ჩვენებმა შეცდომა დაუშვეს და საშუალება მისცეს ბოუენსს გაეხსნა ანგარიში.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებმა გაიმეორეს თავიანთი 15–წუთიანი იერიში. შეტევა შეტევას მოსდევდა, საუკეთესო შესაძლებლობები ჰქონდათ შენგელიას, გუცაევს,

სულაქველიძეს, იყო მომენტი, როცა “ფეიენოორდის” კარი სასწაულით გადაურჩა აშკარა გოლს, როცა შენგელია და ვან ენგელენი პირისპირ შემორჩნენ ერთმანეთს. ამ მომენტში გოლი ჰაერივით ესაჭიროებოდა ჩვენს გუნდს, მისი გატანის შემთხვევაში “ფეიენოორდის” მწვრთნელს შეეძლო აღარ ენერვიულა და აღარც ეყურებინა თამაშისთვის.

57–ე წუთზე დინამოელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე დაარღვიეს წესი და ნოტენმა ზუსტად გამოიყენა პენალტი – 2:0.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში დინამოელთა კარი აშკარა საშიშროების წინაშე იყო, მაგრამ შემდგომში მათ კვლავ გამოასწორეს თამაში, ისინი კვლავ შეიკრნენ ერთ მთლიან კოლექტივად და მატჩის დასასრულისთვის ცხადი გახდა ამ ორი გუნდის საერთო ტაქტიკური ჩანაფიქრიდან წარმატება თბილისის ”დინამოს” ხვდებოდა წილად. 2 შეხვედრის ჯამში თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2 და პირველად თავიანთი არსებობის ისტორიაში მიაღწიეს ასეთ სერიოზულ წარმატებას დიდ საერთაშორისო ტურნირში – ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ისინი ფინალში გავიდნენ.

რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღუნიშნავად დავტოვოთ ავსტრიელი არბიტრის ფ. ვერერისა და მისი “ერთგული” თანაშემწეების ყოვლად უპრინციპო, არაობიექტური და მიკერძოებული მსაჯობა. იშვიათად, რომ ერთ მატჩში მსაჯმა ამდენჯერ შეძლოს ასეთი დახმარება გაუწიოს ერთ გუნდს და ხელი შეუშალოს მეორეს. მასპინძლები განუწყვეტლივ უხეშობდნენ, ამას კი ფ. ვერერი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ საკმარისი იყო წესი დაერღვია ხინჩგაშვილს, რომ არბიტრის გულის ჯიბიდან მაშინვე “ამოცოცდა” ყვითელი ბარათი. ეს კი მ. ხინჩგაშვილის მეორე გაფრთხილებაა მიმდინარე ევროპულ გათამაშებაში.

ფ. ფერერმა დაუყოვნებლივ დანიშნა პენალტი, რაოცა დარღვევა შეამჩნია დინამოელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ არანაკლები, თუ მეტი არა, დარღვევები ხდებოდა “ფეიენოორდის” საჯარიმო მოედანზე. ერთ–ერთ მომენტში ყოვლად დაუშვებელი, აკრძალული ილეთით გაუმასპინძლდნენ შენგელიას, ავსტრიელმა მსაჯმა კი საჩქაროდ გაასავსავა ხელები – არაფერი მომხდარაო.

თბილისის “დინამომ” ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა ჰოლანდიელ ფეხბურთლთა კარში, ფ. ვერერი და მისი თანაშემწეები კი საოცარი “სინქრონული” წესით მოქმედებდნენ – ოფსაიდს ოფსაიდზე აღნიშნავდნენ.

ამ მატჩის მსაჯობაზე მომავალში ალბათ არაერთხელ იქნება ლაპარაკი, ახლა კი გვინდა მოვიყვანოთ გაზეთ “სოვეტსკი სპორტის” სპეციალური კორესპონდენტის, რედაქციის ფეხბურთის განყოფილების გამგის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. პონედელნიკის აზრი:

“მსაჯთა ბრიგადის მოქმედების არაობიექტურობის შესახებ აზრი ერთსულოვანია. ჩემი საფეხბურთო პრაქტიკის მანძილზე იშვიათად მახსოვს, რომ ესოდენ მაღალი დონის მატჩში ასე ტენდენციურად, მიკერძოებით ემსაჯა ვინმეს”.

სხვათა შორის, ფ. ვერერის მსაჯობა უყურადღებოდ არ დაუტოვებია უცხოეთის პრესას, მიმომხილველებს, კომენტატორებს. ამას აღნიშნავს თვით ჰოლანდიური პრესაც.

“ფეიენოორდის” ფეხბურთელები ბუდინგი, ვიინსტეკერსი, ვან ტილი და სხვანი დაურიდებლად, უცერემონიოდ უხეშობდნენ და რახან საამისო უსიტყვო “სანქცია” ჰქონდათ არბიტრებისაგან, არაფერს დარიდებიან.

ასეა თუ ისე, ყველაფერი კეთილად მოთავდა, თბილისის ”დინამომ” საუკეთესოდ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა. საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ჩვენი გუნდი მესამედ გავიდა ევროპული ტურნირების ფინალში. ადრე კიევისა და მოსკოვის დინამოელებმა მიაღწიეს ფინალს, 1975 წელს კიეველებმა მოიგეს კიდეც თასების მფლობელთა თასი, ახლა ჯერი თბილისელებზეა.

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა, გუნდის ხელმძღვანელებმა დიდი საქმე გააკეთეს და ახალი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი გუნდის სახელოვან ისტორიაში.

მსაჯის კომენტარი

როტერდამის “ფეიენოორდისა” და თბილისის “დინამოს” მატჩის მსაჯობის თაობაზე “ლელოს” კორესპონდენტი ესაუბრა ჩვენს რამდენიმე მსაჯს, კერძოდ, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ნესტორ ჩხატარაშვილს. აი, რა განაცხადა მან:

ავსტრიელმა მსაჯმა რამდენიმე აშკარა შეცდომა დაუშვა. მართალია მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ კომენტარი გავუკეთო მსაჯის მოქმედებას ტელევიზორში ნანახი კადრებით, მაგრამ ვფიქრობ თბილისელ ფეხბურთელებს თამაშგარე მდგომარეობა არ დაურღვევიათ მაშინ, როცა გატანილი იქნა მესამე ბურთი (ვერერმა და მისმა თანაშემწემ, როგორც ვიცით, სამი გატანილი ბურთისას აღნიშნა თამაშგარე). აშკარად დაარღვია წესი “ფეიენოორდის” მეკარემ ვან ენგელენმა, როცა შეტაკება ჰქონდა შენგელიასთან. მსაჯმა სასტვენი არ მისცა, ასეთივე სიტუაციაში კი თბილისელთა კარში პენალტი დანიშნა. ორი ერთგვარი მომენტის სხვადასხვა ინტერპრეტაცია დაუშვებელია.

ფ. ვერერმა გაფრთხილება მისცა თბილისის ”დინამოს” მოთამაშეს. ჰოლანდიელ ფეხბურთელებს ამ დღეს არანაკლები უხეშობა ჩაუდენიათ, არბიტრმა კი არც ერთხელ არ ცნო საჭიროდ გაფრთხილება მიეცა მათთვის.

აღიარებენ თვით ჰოლანდიელები

ევროპის საკლუბო გათამაშებათა დღეს, გასულ ოთხშაბათს, დიდი ბრიტანეთის რადიოკომპანია ბი–ბი–სიმ მოაწყო განვლილი თამაშების განხილვა და ადგილი დაუთმო ჰოლანდიელ კომენტატორს. ეტყობა ეს კაცი ობიექტურობის გრძნობითაა აღსავსე, ვინაიდან მან განაცხადა:

“როცა ანგარიში იყო 0:0, თბილისელმა შენგელიამ ნაღდი ბურთი გაიტანა “ფეიენოორდის” კარში, მაგრამ ავსტრიელმა მსაჯმა ვერერმა გოლი არ ჩათვალა თამაშგარე მდგომარეობის მიზეზით. იმავე საბაბით ამ მსაჯმა არ ჩათვალა თბილისელთა მიერ გატანილი კიდევ ორი გოლი”.

კვლავ არღვევენ წესრიგს…

ბონი. დასავლეთ გერმანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის საფეხბურთო კლუბ “ლივერპულის” გულშემატკივრებმა, რომლებიც მიუნხენში ჩამოვიდნენ ევროპის ჩემპიონთა თასის განმეორებით ნახევარფინალური მატჩის საყურებლად ადგილობრივ “ბაიერთან” კვლავ უდიერად დაარღვიეს წესრიგი. “ლივერპულის” 50–ზე მეტი გულშემატკივარი დააპატიმრეს ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე. საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ინგლისელი გულშემატკივრები დათვრნენ და მიუნხენის ერთ–ერთ ბარში ატეხეს დებოში.

მაღალი წოდებები დიდი მოღწევისათვის

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს 2–რაუნდიან მატში როტერდამის “ფეიენოორდთთან” და გავიდნენ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში.

ამ დიდი მიღწევისთვის თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებს მიენიჭებათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა წოდება, რაც გათვალისწინებულია საკავშირო სპორტული კვალიფიკაციით.

თუ თბილისის "დინამომ" მოიგო ზემოაღნიშნული გათამაშების ფინალური მატჩი გდრ–ის ქალაქ იენის "კარლ ცაისთნ", თბლისის "დინამოს" ფეხბურთელები მიიღებენ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას.

ფინალში გავიდნენ...
ევროპული თასების შეხვედრათა მიმოხილვა

თასების მფლობელთ თასზე თბილისის "დინამოს" მომავალი მეტოქე გამოვლინდა ქ. იენის "კარლ ცაისისა' (გდრ) და პორტუგალიის "ბენფიკას" შეხვედრაში.

"ბენფიკას" მეტოქის მინდორზე პირველი მატჩი წაგებული ჰქონდა ანგარიშით 2:0 და მისი მწვრთნელი უნგრელი ლ. ბაროტი წინასწარ მიცემულ ინტერვიუებში იმედს არ კარგავდა, რომ პორტუგალიელები შეძლებდნენ რევანშის აღებას საჭირო ანგარიშით.

მაგრამ "კარლ ცაისი", რომელიც გამოირჩევა თამაშის მაღალი ორგანიზებულობით და ტაქტიკური დისციპლინის მკაცრი დაცვით, ამ დღეს აქტიურად მოქმედებდა და თავგანწირვით იბრძოდა მონაპოვარის შესანარჩუნებლად. 75 ათასი მაყურებელი მოწმე იყო იმისა, რომ "ბენფიკა" განუწყვეტლივ უტევდა, "კარლ ცაისი" კი საიმედოდ იცავდა თავს და კონტრიერიშებით პასუხობდა მეტოქეს. ლისაბონელი რეინალდოს მიერ 59–ე წუთზე გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში, ფინალის საგზური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა გაინაღდეს.

ჩემპიონთა თასის მატჩს ფრგ–ს "ბაიერნსა" და ინგლისის "ლივერპულს" შორის მრავალრიცხოვანი პროგნოზი უძღოდა წინ. "ბაიერნის" შანსები გაცილებით უფრო მეტად ფასობდა, ვინაიდან ამ გუნდმა ლივერპულში პირველ მატჩში ფრეს მიაღწია – 0:0.

ინგლისელთა გუნდმა კი განმეორებითი მატჩი იშვიათი სიზუსტით ჩაატარა. 83–ე წუთზე ანგარიში გახსნა კენედიმ და "ბაიერნმა" მხოლოდ ის მოახერხა, რომ მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გაქვითა გოლი. ეს გააკეთა რუმენიგემ – 1:1.

მილანში ერთმანეთს შეხვდნენ იტალისის "ინტერი" და მადრიდის "რეალი" (ესპანეთი). პირველი მატჩი "რეალს" მოგებული ჰქონდა ანგარიშით – 2:0. იტალიელებმა განმეორებითი თამაში მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოიგეს – 1:0.

უეფა–ს თასზე ინგლისის "იფსვიჩმა" თავის პირველ გამარჯვებას (1:0) მეორეც დაუმატა და იგივე ანგარიშით გაიმარჯვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის "კიოლნთან". ერთადერთი ბურთი 64–ე წუთზე გაიტანა ბატჩერმა.

უეფა–ს თასზე ჰოლანდიის "აზ–67"–ს პირველი მატჩი საფრანგეთის "სოშოსთან" ნათამაშევი ჰქონდა ფრედ – 1:1. განმეორებითი მატჩი ჰოლანდიელებმა შინ მოიგეს ანგარიშით 3:2. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს მეტგუდმა, იონკერმა და პეტერსმა, ხოლო "სოშის" მხრივ – გენჟინიმ და მეიერმა.

ამრიგად ევროპული საკლუბო ტურნირების განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები დამთავრდა ასე:

ჩემპიონთა თასი

"ბაიერნი" (გფრ) – "ლივერპული" (ინგლისი) 1:1 (0:0).

"ინტერი" (იტალია) – "რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 1:0 (0:2).

ფინალში, რომელიც 27 მაისს გაიმართება პარიზში, ერთმანეთს შეხვდებიან "ლივერპული" და "რეალი".

თასების მფლობელთა თასი

“ფეიენოორდი” (ჰოლანდია) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (0:3).

“ბენფიკა” (პორტუგალია) – “კარლ ცაისი” (გდრ) 1:0 (0:2).

13 მაისს დასავლეთ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება ფინალური მატჩი თბილისის “დინამოსა” და იენის “კარლ ცაისს” შორის.

უეფა–ს თასი

“აზ–67” (ჰოლანდია) – “სოში” (საფრანგეთი) 3:2 (1:1).

“კიოლნი” (გფრ) – “იფსვიჩი” (ინგლისი) 0:1 (0:1).

ამ გათამაშებაში მოწინააღმდეგეები ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე.

“ლელო”, 25 აპრილი, 1981 წ.